პერსონალურ მონაცემთა
დაცვის სამსახური

მსოფლიო პრაქტიკა

ივნისი / 2023

მთავარი სიახლეები

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (“ECtHR”) პოლიციის მიერ მომჩივნის შესახებ არაზუსტი ინფორმაციის გამოქვეყნების გამო კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა დაადგინა

მონაცემთა დაცვის ევროპულმა საბჭომ“ (“EDPB”) „მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის“ საფუძველზე ადმინისტრაციული ჯარიმების გამოანგარიშების შესახებ სახელმძღვანელო უახლესი რედაქციით გამოაქვეყნა

მონაცემთა დაცვის ოფიცრებისთვის ხელოვნური ინტელექტისა და პერსონალური მონაცემების შესახებ გზამკვლევი შემუშავდა

მონაცემთა დაცვის ევროპული ზედამხედველის“ (“EDPS”) მოსაზრება საბანკო დეპოზიტების დაცვაზე, ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობასა და გამჭვირვალობაზე

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (“ECtHR”) პოლიციის მიერ მომჩივნის შესახებ არაზუსტი ინფორმაციის გამოქვეყნების გამო კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა დაადგინა

20.06.2023

ფოტო: coe.int

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე: “Margari v. Greece”, პოლიციის მიერ მომჩივნის შესახებ არაზუსტი ინფორმაციის გამოქვეყნების გამო „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-8 მუხლის დარღვევა დაადგინა.

ფაქტობრივი გარემოებები:

2015 წელს მომჩივანი — ელენი მარგარი, დააკავეს თაღლითობასა და გაყალბებასთან დაკავშირებული დანაშაულების გამო. აღმოსავლეთ ატიკის (საბერძნეთი) პოლიციის დეპარტამენტმა მიმართა ათენის პირველი ინსტანციის სასამართლოს პროკურორს ბრალდებულთა ფოტოებისა და პერსონალური მონაცემების პრესითა და ტელევიზიით გაშუქების მოთხოვნით, რათა დაეცვათ საზოგადოება მსგავსი ფაქტებისგან და ამავდროულად, გამოევლინათ, ხომ არ ჩაიდინეს ბრალდებულებმა სხვა დანაშაულებიც.

ათენის პირველი ინსტანციის სასამართლოს პროკურორმა გამოსცა ბრძანება, რომელიც 2015 წლის 2 დეკემბრიდან 2016 წლის 2 ივნისამდე ნებისმიერი მედიასაშუალებისა და პრესის მიერ ექვსი თვის განმავლობაში შვიდი ბრალდებულის, მათ შორის, მომჩივნის პერსონალური მონაცემებისა და ფოტოების გამოქვეყნების უფლებას იძლეოდა. ბრძანება დაამტკიცა ათენის სააპელაციო სასამართლოს პროკურორმა, რომელმაც მიიჩნია, რომ მისი გაცემის ყველა კანონიერი წინაპირობა არსებობდა.

მომჩივნის თქმით, განცხადება გამოქვეყნდა 2015 წლის 16 დეკემბერს, საბერძნეთის პოლიციის ვებგვერდზე. იგი ეხებოდა კრიმინალური ორგანიზაციის წევრებს, რომლებმაც ჩაიდინეს თაღლითობა ატიკის რაიონების მოქალაქეების მიმართ. განცხადებაში აღნიშნული იყო, რომ აღწერილ პირებს (თუმცა არა ყველა მათგანს) ბრალი ედებოდათ ერთობლივად ჩადენილი თაღლითობის, ყალბი დოკუმენტების შექმნისა და გამოყენების, ყალბი მოწმობების გაცემის, ცრუ დასმენისა და ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის დარღვევისთვის. პოლიციის განცხადება გავრცელდა მედიაშიც.

მომჩივნის შესახებ პერსონალური მონაცემების გამოქვეყნებიდან მალევე, იგი დამნაშავედ იქნა ცნობილი კრიმინალურ ორგანიზაციაში გაწევრებისთვის.

საჩივარი:

მომჩივანი აცხადებდა, რომ გარკვეულ დანაშაულებზე ბრალდებიდან/ მსჯავრდებიდან რამდენიმე თვის განმავლობაში მისი ფოტოსურათისა და სხვა პერსონალური მონაცემების პრესაში გამოქვეყნებით დაირღვა „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-8 მუხლი („პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება“).

მე-8 მუხლის სავარაუდო დარღვევის შეფასება:

ზოგადი პრინციპები

დანაშაულის გამოძიებისა და დევნის, სასამართლო პროცესის საჯარო ხასიათის საზოგადოებრივმა ინტერესმა ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებელია, გადაწონოს პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის აუცილებლობა. შესაბამისი ეროვნული ხელისუფლების ორგანოებს უნდა მიეცეს გარკვეული თავისუფლება, რათა დაადგინონ სამართლიანი ბალანსი, ერთი მხრივ, სასამართლო წარმოების საჯარო ბუნების დაცვას, რომელიც აუცილებელია სასამართლოებისადმი ნდობის შესანარჩუნებლად, ხოლო მეორე მხრივ, მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვასთან დაკავშირებით მხარის ან მესამე პირის ინტერესებს შორის. ნებისმიერი ღონისძიება, რომლის მეშვეობით საჯაროვდება პიროვნების პერსონალური მონაცემები (მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი სასამართლო პროცესის მხარე ან მესამე პირი), უნდა შეესაბამებოდეს აღმატებულ სოციალურ საჭიროებას და შეძლებისდაგვარად შემოიფარგლოს იმით, რაც მკაცრად აუცილებელია სამართალწარმოების სპეციფიკური მახასიათებლების გათვალისწინებით.

სასამართლომ დაადგინა, რომ თუკი ფოტოსურათს, რომელიც გამოქვეყნებულია მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეზე ანგარიშგების კონტექსტში, თავისთავად არ აქვს ინფორმაციული ღირებულება, უნდა არსებობდეს დამაჯერებელი მიზეზები ბრალდებულის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევის გასამართლებლად. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის („გამოხატვის თავისუფლება“) გათვალისწინებით, მე-6 მუხლის („საქმის სამართლიანი განხილვის უფლება“) მე-2 პუნქტი არ შეიძლება მიჩნეულ იქნას, როგორც ხელისუფლებისათვის მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის გამოძიების შესახებ საზოგადოების ინფორმირების ხელშემშლელი. თუმცა,

იგი მოითხოვს, რომ უდანაშაულობის პრეზუმფციის გათვალისწინებით, ხელისუფლებამ საზოგადოების ინფორმირება საჭირო წინდახედულებითა და სიფრთხილით უნდა უზრუნველყოს. ამასთანავე, სასამართლომ განმარტა, რომ ეჭვმიტანილთა ფოტოების გამოქვეყნება თავისთავად არ გულისხმობს უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას.

კონვენციით გათვალისწინებული პრინციპების მისადაგება საქმის კონკრეტულ გარემოებებთან

სასამართლომ გაითვალისწინა მომჩივნის არგუმენტი, რომ მას ბრალი მხოლოდ დანაშაულებრივ ორგანიზაციაში გაწევრების გამო წარედგინა და არა — ამ დანაშაულის უფრო მძიმე ფორმის ჩადენისთვის. მიუხედავად იმისა, რომ პროკურორის ბრძანება საკმაო სიცხადით აღწერდა ზუსტ დანაშაულებს, რომლებშიც ბრალი ედებოდა მომჩივანს, პოლიციის განცხადება პროკურორის ბრძანების აღსრულების შესახებ არ ასხვავებდა ბრალდებულებს და მათ მიმართ წარდგენილ ბრალდებებს. პოლიციის განცხადებაში ჩამოთვლილი იყო ჩადენილი დანაშაულები კრებითად, იმაზე აღნიშვნით, რომ განცხადებაში მოხსენიებული პირები, ბრალდებულნი იყვნენ სხვადასხვა დანაშაულის ჩადენაში. თუმცა, დასახელებულ პირს განცხადებაში განხილული ყველა დანაშაული არ ჰქონდა ჩადენილი.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დამუშავება მოითხოვს განსაკუთრებული დაცვის გარანტიებს განსახილველი მონაცემების მნიშვნელობის გამო. აქედან გამომდინარე, არსებითია, რომ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების მიმდინარე სისხლის სამართლის საქმისწარმოების ან დანაშაულის გამოძიების კონტექსტში გამოქვეყნებისას, მონაცემები ზუსტად ასახავდეს არსებულ სიტუაციას და წარდგენილ ბრალდებას. ყურადღება ასევე უნდა გამახვილდეს უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვაზე.

ზემოაღნიშნული მოსაზრებების შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ ჩარევა მომჩივნის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში, გამოწვეული პროკურორის ბრძანებითა და პოლიციის განცხადებით, არ იყო დასახული ლეგიტიმური მიზნის პროპორციული და საკმარისად გამართლებული საქმის კონკრეტულ გარემოებებში, მიუხედავად ეროვნული სასამართლოს დისკრეციული უფლებამოსილებისა აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-8 მუხლის დარღვევა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (“ECtHR”) საქმეზე — “Negru v. the Republic of Moldova” პირადი ცხოვრების დაცულობის უფლების დარღვევა დაადგინა

27.06.2023

EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

ფოტო: coe.int

საქმე: Negru v. the Republic of Moldova (საჩივრის № 7336/11) შეეხება უსაფრთხოების გარანტიების, აგრეთვე, სათანადო განხილვის გარეშე განმცხადებლის ძებნილ პირთა სიაში შეყვანას და პოლიციის განყოფილებაში მის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებას. განმცხადებელი მიიჩნევდა, რომ დაირღვა „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-8 და მე-13 მუხლებით გათვალისწინებული უფლებები.

ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, პირის იდენტიფიცირებისა და საზოგადოებისთვის ინფორმაციის გაცნობის მიზნით, განმცხადებლის ფოტო ერთ-ერთი პოლიციის განყოფილებაში განთავსდა, როგორც სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით ძებნილი პირი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოლდოვის კანონმდებლობის თანახმად, ძებნილთა სიაში პირის შეყვანის შესახებ გადაწყვეტილება მოიაზრებს პერსონალურ მონაცემთა დამუშავებას, რაც უკავშირდება პირის ნასამართლობის / სისხლისსამართლებრივი მსჯავრდების შესახებ ინფორმაციას.

საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, განმცხადებელზე ძებნა 2010 წლის 25 მაისს გამოცხადდა. ამასთანავე, განმცხადებლის მიერ სადაოდ არ იქნა მიჩნეული ფაქტი, იმის შესახებ, რომ იგი 2008 წელს გაემგზავრა მოლდოვიდან იტალიაში. თუმცა, ვერ იქნა წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, რომლის თანახმად, მოლდოვის ხელისუფლება 2008 წლიდან 2010 წლამდე ნამდვილად ცდილობდა განმცხადებლის მოძიებას და გამოძახებას, ვიდრე განყოფილებაში მის ფოტოს გამოაქვეყნებდა. ასევე, აღსანიშნავია, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ გამოძიება შეწყდა დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ როგორც განმცხადებლის შეყვანა ძებნილ პირთა სიაში, ასევე განყოფილებაში მისი ფოტოს დაფაზე გამოქვეყნების გზით ინფორმაციის გამჟღავნება, არღვევდა მისი პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებას. სასამართლომ არ მიიჩნია დადგენილი რეგულაციების დაუცველობის

მიზეზით პროკურორის გადაწყვეტილება კანონთან შესაბამისი და ამდენად, დადგინდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (“CJEU”) გენერალურმა ადვოკატმა მედინამ ერთ-ერთი საქმის განხილვის პროცესში განმარტა, რომ პირადობის მოწმობების მეხსიერების ბარათზე თითის ანაბეჭდების სავალდებულო შეგროვება და შენახვა კანონიერია

29.06.2023

ფოტო: european-union.europa.eu

საქმეზე: “RL v Landeshauptstadt Wiesbaden” (№ C-61/22) ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გენერალური ადვოკატის მედინას 2023 წლის 29 ივნისის მოსაზრების თანახმად, ევროპის კავშირის წევრი სახელმწიფოების ეროვნული პირადობის მოწმობების მეხსიერების ბარათზე თითის ანაბეჭდების სავალდებულო შეგროვება და შენახვა კანონიერია.

ევროპარლამენტისა და საბჭოს 2019 წლის 20 ივნისის 2019/1157 რეგულაცია „ევროკავშირის მოქალაქეების პირადობის დამადასტურებელი მოწმობებისა და ბინადრობის საბუთების უსაფრთხოების გაძლიერების შესახებ, რომლებიც გაცემულია ევროკავშირის მოქალაქეებზე და მათი ოჯახის წევრებზე, რომლებიც სარგებლობენ თავისუფალი გადაადგილების უფლებით“, ადგენს ვალდებულებას, რომლის თანახმად, 2021 წლის 2 აგვისტოდან ნებისმიერ პირადობის მოწმობაში, რომელიც ახლად გაცემულია წევრი სახელმწიფოების მიერ, უსაფრთხო მეხსიერების ბარათზე დატანილ იქნეს მისი მფლობელის თითის ანაბეჭდების გამოსახულება.

2021 წლის ნოემბერში გერმანიის მოქალაქემ მიმართა ქალაქ ვისბადენს (გერმანია) ახალი პირადობის მოწმობის გაცემის მოთხოვნით. განაცხადში მან მოითხოვა ბარათის გაცემა პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მეხსიერების ბარათში თითის ანაბეჭდის გამოსახულების დატანის გარეშე.

ქალაქ ვისბადენის ხელისუფლებამ უარი განაცხადა მოქალაქის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, იმ მოტივით, რომ 2021 წლის 2 აგვისტოდან მოქმედი ვალდებულების გათვალისწინებით,

პირადობის მოწმობის გაცემა არ შეიძლებოდა მფლობელის თითის ანაბეჭდის გამოსახულების გარეშე.

ვისბადენის ადმინისტრაციულ სასამართლოს, გაუჩნდა ეჭვი 2019/1157 რეგულაციის კანონიერებასთან და გერმანული პირადობის მოწმობებში თითის ანაბეჭდების შეგროვებისა და შენახვის სავალდებულო ხასიათთან დაკავშირებით. კერძოდ, სასამართლოს სურს დაადგინოს:

1. წარმოადგენს თუ არა 2019/1157 რეგულაციის მიღების შესაბამის საფუძველს "TFEU"-ის (ევროპის კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების) 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი და არა ამავე ხელშეკრულების 77-ე მუხლის მე-3 პუნქტი?
2. შეესაბამება თუ არა ზემოხსენებული რეგულაცია ქარტიის მე-7 და მე-8 მუხლებს 52-ე მუხლის პირველ პუნქტთან ერთობლიობაში?
3. მიემართება თუ არა აღნიშნული რეგულაცია მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების ჩატარების ვალდებულებას, თანახმად „მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის" 35-ე მუხლის მე-10 პუნქტისა.

გენერალურმა ადვოკატმა მედინამ დაასკვნა, რომ რეგულაცია 2019/1157 სწორად იქნა მიღებული "TFEU"-ს 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, რათა ხელი შეუწყოს ევროკავშირის მოქალაქეებს, განახორციელონ თავიანთი უფლება ევროპის კავშირის წევრ სახელმწიფოებში თავისუფლად გადაადგილებისა და ცხოვრების შესახებ.

ფოტო: alamy.com

აღნიშნულთან დაკავშირებით, იგი განმარტავს, რომ თავისუფლად გადაადგილებისა და საცხოვრებლის არჩევის უფლება ევროკავშირის მოქალაქეებს საშუალებას აძლევთ, მასპინძელი წევრი სახელმწიფოს სხვა მაცხოვრებლების მსგავსად, ჩაერთონ ყოველდღიურ ცხოვრებაში. ამგვარად, ეროვნული პირადობის მოწმობებს აქვს ისეთივე ფუნქციები, რაც ადგილობრივი მაცხოვრებლებისას. შედეგად, პირადობის დამადასტურებელი მხოლოდ სანდო და აუთენტური მოწყობილობები უზრუნველყოფს თავისუფალი გადაადგილების უფლებით სრულფასოვან სარგებლობას.

ეროვნული პირადობის მოწმობების ერთიანი ფორმატი და მათი სანდოობის გაზრდა უსაფრთხოების სტანდარტების გაუმჯობესების, მათ

შორის, ციფრული თითის ანაბეჭდების პირადობის დამადასტურებელ ბარათში შენახვის გზით, პირდაპირ გავლენას ახდენს აღნიშნული უფლების განხორციელებაზე. ამგვარი პირადობის მოწმობები უფრო სანდო და მისაღებია წევრი სახელმწიფოების ხელისუფლებებისა და სერვისების მიმწოდებელი სუბიექტებისთვის. საბოლოო ჯამში, აღნიშნული ბარათების შემოღება ხელს უწყობს ხარჯებისა და ადმინისტრაციული ბარიერების შემცირებას ევროკავშირის იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც აქტიურად სარგებლობენ თავისუფალი გადაადგილების უფლებით.

გენერალურმა ადვოკატმა განმარტა, რომ კომპეტენცია, რომელიც ევროპულ საბჭოს "TFEU"-ს 77-ე მუხლის მე-3 ნაწილით აქვს მინიჭებული, უნდა იქნას გაგებული, მხოლოდ საზღვრის შემოწმების პოლიტიკის კონტექსტში. ევროკავშირის იმგვარი ღონისძიება, რომელიც სცილდება 2019/1157 რეგულაციის შინაარსს, არ ექცევა აღნიშნული დებულების ფარგლებში.

პერსონალური მონაცემების დამუშავების თვალსაზრისით, გენერალურმა ადვოკატმა შემდგომ განიხილა, წარმოადგენს თუ არა პირადობის მოწმობებში ორი თითის ანაბეჭდის გამოსახულების შეგროვებისა და შენახვის ვალდებულება პირადი ცხოვრების პატივისცემის ფუნდამენტური უფლების გაუმართლებელ შეზღუდვას.

გენერალური ადვოკატის აზრით, 2019/1157 რეგულაცია, რომელიც აწესებს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ "Schwarz"-ის საქმეზე პასპორტთან დაკავშირებით შემოწმებული ღონისძიებების მსგავს მიდგომებს, წარმოადგენს ქარტიის მე-7 და მე-8 მუხლებით გარანტირებული უფლებების შეზღუდვას. შესაბამისად, აუცილებელია იმის გარკვევა, არის თუ არა აღნიშნული ჩარევა გამართლებული ქარტიის 52-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე.

რაც შეეხება 2019/1157 რეგულაციის შედეგად მიღებული შეზღუდვების საჯარო ინტერესის მიზანთან შესაბამისობას, გენერალური ადვოკატი მიიჩნევს, რომ იმის გათვალისწინებით, რომ ეროვნული პირადობის მოწმობების ფორმატებისა და უსაფრთხოების მახასიათებლების არაერთგვაროვნება ზრდის თაღლითობისა და დოკუმენტების გაყალბების რისკს, 2019/1157 რეგულაციით შემოღებული შეზღუდვები, რომლებიც მიზნად ისახავს აღნიშნული რისკების თავიდან არიდებას და ერთიანი ფორმატის მქონე პირადობის დამადასტურებელი ბარათების მიღების ხელშეწყობას, თავსებადია ხსენებულ მიზანთან.

უფრო მეტიც, გენერალური ადვოკატი მიიჩნევს, რომ პირადი ცხოვრების

უფლებაში ჩარევა არის მიზნის შესაბამისი, აუცილებელი და პროპორციული აღნიშნული რეგულაციის მთავარი მიზნის მისაღწევად. კერძოდ, როგორც ჩანს, რეგულაციის მიზნის ანალოგიურად ეფექტიანი გზით მისაღწევად, არ არსებობს თანაბრად შესაფერისი, მაგრამ თითის ანაბეჭდების აღებასა და შენახვაზე ნაკლებად შემზღუდველი მეთოდი. ასევე, 2019/1157 რეგულაცია გვთავაზობს საკმარის და შესაბამის ღონისძიებებს, რომლებიც გარანტიას იძლევა, რომ ბიომეტრული იდენტიფიკატორების შეგროვება, შენახვა და გამოყენება ეფექტიანად არის დაცული მათი ბოროტად გამოყენებისაგან. აღნიშნული ზომები იძლევა გარანტიას, რომ ახლად გაცემულ ბარათში შენახული ბიომეტრული იდენტიფიკატორები დარჩება მხოლოდ ბარათის მფლობელის განკარგულებაში, ამ ბარათის გაცემის შემდეგ და რომ ისინი არ იქნება საჯაროდ ხელმისაწვდომი.

და ბოლოს, შეესაბამება თუ არა რეგულაცია 2019/1157 "GDPR"-ის 35-ე მუხლის მე-10 პუნქტის მიხედვით მონაცემთა დაცვის ზეგავლენის შეფასების ვალდებულებას — გენერალური ადვოკატი აღნიშნავს, რომ "GDPR"-ი ისევე, როგორც 2019/1157 რეგულაცია ევროკავშირის სამართლის წყაროების იერარქიაში თანაბარი იურიდიული ძალის მქონე მეორადი საკანონმდებლო აქტებია. უფრო მეტიც, "GDPR"-დან არ გამომდინარეობს, რომ ზეგავლენის შეფასების ვალდებულება, ვრცელდება ევროკავშირის საკანონმდებლო ორგანოზე და არც აღნიშნული დებულება ადგენს რაიმე კრიტერიუმს, რომლის მიხედვით უნდა შეფასდეს ევროკავშირის სხვა მეორადი სამართლის ნორმის კანონიერება. შესაბამისად, გენერალური ადვოკატი მიიჩნევს, რომ ევროპარლამენტი და საბჭო არ იყვნენ ვალდებულნი, განეხორციელებინათ ზეგავლენის შეფასება 2019/1157 რეგულაციის მიღების საკანონმდებლო პროცესში.

„მონაცემთა დაცვის ევროპულმა საბჭომ" ("EDPB") „მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის" საფუძველზე ადმინისტრაციული ჯარიმების გამოანგარიშების შესახებ სახელმძღვანელო უახლესი რედაქციით გამოაქვეყნა

07.06.2023

ფოტო: edpb.europa.eu

„მონაცემთა დაცვის ევროპულმა საბჭომ" ("EDPB") საჯარო კონსულტაციების შედეგად,

„მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის“ (“GDPR”) საფუძველზე [ადმინისტრაციული ჯარიმების გამოანგარიშების სახელმძღვანელოს საბოლოო ვერსია მიიღო](). დოკუმენტის მიზანია ჯარიმების კალკულაციასთან დაკავშირებით პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოთა მეთოდოლოგიის ჰარმონიზაცია. მასში წარმოდგენილი და გათვალისწინებულია ისეთი საკითხი, როგორიცაა დარღვევების კატეგორიზაცია მათი სიმძიმისა და სამეწარმეო საქმიანობის ბრუნვის მიხედვით.

სახელმძღვანელოში აღნიშნულია, რომ ჯარიმის ოდენობის გამოთვლა, “GDPR”-ით გათვალისწინებული წესის შესაბამისად, მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს დისკრეციას წარმოადგენს. კერძოდ, “GDPR”-ი მოითხოვს, რომ ჯარიმის ოდენობა თითოეულ შემთხვევაში იყოს ეფექტიანი, პროპორციული და შემაკავებელი ძალის მქონე (“GDPR”-ის 83-ე მუხლის („ადმინისტრაციული ჯარიმის დაკისრების ზოგადი წესები“) პირველი პუნქტი). ჯარიმის ოდენობის დადგენისას, საზედამხედველო ორგანოებმა სათანადოდ უნდა გაითვალისწინონ დარღვევის სიმძიმესთან დაკავშირებული გარემოებები, აგრეთვე, დამრღვევის მახასიათებლები (“GDPR”-ის 83-ე მუხლის მე-2 პუნქტი). მნიშვნელოვანია, რომ ჯარიმის ოდენობა არ აღემატებოდეს “GDPR”-ის 83-ე მუხლის მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ზღვარს. ჯარიმის ოდენობის განსაზღვრა დამოკიდებულია თითოეული შემთხვევის შეფასებაზე, “GDPR”-ით გათვალისწინებული კრიტერიუმების ფარგლებში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, “GDPR”-ის დარღვევისთვის ადმინისტრაციული ჯარიმების გამოთვლის მიზნით “EDPB”-მ შეიმუშავა ხუთეტაპიანი მეთოდოლოგია:

1. უნდა განისაზღვროს დამუშავების ოპერაციები და შეფასდეს “GDPR”-ის 83-ე მუხლის მე-3 პუნქტის გავრცელების საკითხი (მე-3 თავი);
2. უნდა განისაზღვროს ჯარიმის ოდენობის გამოთვლის საწყისი წერტილი (მე-4 თავი) “GDPR”-ში დარღვევის კლასიფიკაციის, დარღვევის სიმძიმისა და ორგანიზაციის საქონელბრუნვის შეფასებით;
3. მესამე საფეხურია დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებების შეფასება, რომელიც დაკავშირებულია მონაცემთა დამმუშავებლის/ უფლებამოსილი პირის წარსულში მომხდარ ან ამჟამინდელ ქმედებასთან, რის შესაბამისად ჯარიმა ან გაიზრდება, ან შემცირდება (მე-5 თავი);

4. მეოთხე ეტაპია კანონმდებლობის მიხედვით სხვადასხვა დარღვევის შესაბამისი ჯარიმის მაქსიმალური ოდენობის განსაზღვრა. ამასთანავე, წინა ან შემდეგ ეტაპებზე ჯარიმის ოდენობის ზრდა არ შეიძლება აღემატებოდეს ამ მაქსიმალურ რაოდენობას (მე-6 თავი);

5. უნდა განისაზღვროს, აკმაყოფილებს თუ არა საბოლოოდ გამოთვლილი თანხა ეფექტიანობის ("effectiveness"), დამაჯერებლობისა ("dissuasiveness") და პროპორციულობის ("proportionality") მოთხოვნებს. ჯარიმის ოდენობის კორექტირება შესაძლებელია (მე-7 თავი), თუმცა შესაბამისი მაქსიმალური ზღვრის გადაჭარბების გარეშე.

საჯარო კონსულტაციის შემდეგ დოკუმენტს დაემატა დანართი შესაბამისი ცხრილით, რომელშიც შეჯამებულია მეთოდოლოგია და მოცემულია ორი პრაქტიკული მაგალითი. ცხრილი და მაგალითები მხოლოდ საილუსტრაციო ხასიათისაა და მისი განმარტება სახელმძღვანელოსთან ერთობლიობაში უნდა მოხდეს.

„მონაცემთა დაცვის ევროპულმა საბჭომ" ("EDPB") საჩივრის ფორმის შაბლონი და სავალდებულო კორპორაციულ წესებთან ("BCR") დაკავშირებულ საკითხებზე რეკომენდაციების საბოლოო ვერსია გამოაქვეყნა

21.06.2023

ფოტო: edpb.europa.eu

ბრიუსელში, 21 ივნისს გამართულ პლენარულ სხდომაზე, „მონაცემთა დაცვის ევროპულმა საბჭომ" ("EDPB") საჩივრის ფორმა დაამტკიცა. იგი ინდივიდების მიერ საჩივრების წარდგენასა და მონაცემთა ტრანსსასაზღვრო გადაცემის საკითხთან დაკავშირებით მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების მიერ საჩივრების შემდგომ განხილვას შეუწყობს ხელს.

"EDPB"-ის თავმჯდომარემ განაცხადა:

„შაბლონი არის ერთ-ერთი ვალდებულება, რომელიც 2022 წლის აპრილში "EDPB"-ის წევრებმა ვენაში, მაღალი დონის შეხვედრაზე, მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებს შორის აღსრულების

თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით აიღეს. იგი ხელს შეუწყობს მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებს შორის საჩივრებთან დაკავშირებით ინფორმაციის გაცვლას და დაეხმარება მათ დროის დაზოგვასა და ტრანსსასაზღვრო საქმეების უფრო ეფექტიან გადაწყვეტაში".

შაბლონში გათვალისწინებულია ეროვნულ კანონმდებლობასა და პრაქტიკასთან დაკავშირებით სხვადასხვა ქვეყანაში არსებული ტენდენციები. მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოები შაბლონს სურვილის შემთხვევაში გამოიყენებენ, ასევე, შეუძლიათ ეროვნულ დონეზე არსებულ შესაბამის მოთხოვნებთან მისი ადაპტირება.

ფოტო: edpb.europa.eu

აღსანიშნავია, რომ შაბლონის გამოყენება შესაძლებელია, როდესაც საჩივარი შეტანილია თავად ფიზიკური პირის მიერ. ასევე ისეთ შემთხვევებში, როდესაც საჩივრის ავტორს წარმოადგენს სხვა პირი, კერძოდ, კანონიერი წარმომადგენელი, ფიზიკური პირის სახელით ან საკუთარი ინიციატივით მოქმედი სუბიექტი.

გარდა აღნიშნულისა, "EDPB"-მ შეიმუშავა „საჩივრის მიღების დადასტურების შაბლონი", რომლის მიზანს მომჩივნისთვის საჩივრის წარდგენის შემდგომი ნაბიჯების შესახებ ზოგადი ინფორმაციის მიწოდება წარმოადგენს. დოკუმენტში ხაზგასმულია ეფექტიანი სასამართლო დაცვის უფლება მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს იურიდიულად სავალდებულო ძალის მქონე გადაწყვეტილების გასაჩივრების მიზნით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საჯარო კონსულტაციების შედეგად, "EDPB"-მ მონაცემთა დამმუშავებლის სავალდებულო კორპორაციულ წესებში ("BCR-C") გასათვალისწინებელი საკითხების თაობაზე რეკომენდაციებიც* გამოაქვეყნა:

- ✅ განახლებული სტანდარტული განაცხადის ფორმის შემუშავება

* "BCR-C" არის „გადაცემის ინსტრუმენტი", რომელიც გამოიყენება იმ საწარმოების ან საწარმოთა ჯგუფების მიერ, რომლებიც ეწევიან ერთობლივ ეკონომიკურ საქმიანობას. იგი განკუთვნილია ევროპის ეკონომიკური ზონის გარეთ იმავე ჯგუფის მონაცემთა დამმუშავებლებისა და უფლებამოსილი პირებისთვის პერსონალური მონაცემების გადასაცემად. "BCR"-ების მიზანი "GDPR"-ით გათვალისწინებული მონაცემთა დაცვის ეკვივალენტური სტანდარტის დამყარებაა. ამჟამად მუშავდება რეკომენდაციების მეორე ნაკრები — "BCR-P", რომელიც განკუთვნილია მონაცემთა დამმუშავებლებისთვის.

კორპორაციული წესების დასამტკიცებლად;

- ✅ კორპორაციული წესების აუცილებელი შინაარსის დაზუსტება და დამატებითი განმარტებების წარდგენა;
- ✅ ერთმანეთისგან იმ საკითხების გამიჯვნა, თუ რას უნდა შეიცავდეს კორპორაციული წესი და რა უნდა წარედგინოს "BCR" მონაცემთა დაცვის წამყვან საზედამხედველო ორგანოს "BCR" განაცხადით.

რეკომენდაციები "GDPR"-ის ამოქმედების შემდეგ კონკრეტულ განცხადებებთან დაკავშირებით მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებს შორის მიღწეულ შეთანხმებებს ეფუძნება. იგი იძლევა დამატებით მითითებებს და მიზნად "BCR" განმცხადებლებისთვის თანაბარი პირობების უზრუნველყოფას ისახავს. რეკომენდაციები, ასევე, შეესაბამება ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს "Schrems II"-ის სახელწოდებით ცნობილ გადაწყვეტილებაში ასახულ მოთხოვნებს.

„მონაცემთა დაცვის ევროპული ზედამხედველის" ("EDPS") მოსაზრება საბანკო დეპოზიტების დაცვაზე, ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობასა და გამჭვირვალობაზე

12.06.2023

ფოტო: edps.europa.eu

2023 წლის 18 აპრილს ევროკომისიამ წარმოადგინა ინიციატივა ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014/49/EU დირექტივის შესწორების თაობაზე, რომელიც დეპოზიტების დაცვის, დეპოზიტების გარანტიის სქემის ფონდების გამოყენების, ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობისა და გამჭვირვალობის საკითხებს შეეხება. აღსანიშნავია, რომ 2022 წლის 7 დეკემბერს ევროკომისიამ აგრეთვე გამოაქვეყნა წინადადება დირექტივის თაობაზე, რომელიც გადახდისუუნარობის სამართლის გარკვეულ ასპექტებს აწესრიგებს. ინიციატივის მიზანია ევროკავშირში ბანკების გაკოტრების შემთხვევაში, მეანაბრეების, აგრეთვე, ევროკავშირისა და მისი წევრი ქვეყნების ფინანსური ინტერესების დაცვა. აღნიშნული მიიღწევა მეანაბრეების დაცვის მაღალი

სტანდარტის უზრუნველყოფით, დეპოზიტების საგარანტიო სქემების (“DGS”) პრაქტიკაში კონვერგენციის ხელშეწყობითა და “DGS”-ს შორის ეროვნული და ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის გაუმჯობესებით. ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ (“AML”/“CFT”) ევროკავშირის არსებულ და მომავალ წესებთან შესაბამისობის მისაღწევად, ინიციატივა 2014/49/EU დირექტივაში გარკვეული ცვლილებების შეტანას ითვალისწინებს.

ევროკომისიის საკონსულტაციო მიმართვის პასუხად, 2023 წლის 19 აპრილს „მონაცემთა დაცვის ევროპულმა ზედამხედველმა“ (“EDPS”) გამოაქვეყნა მოსაზრება ევროკავშირის ინსტიტუტების, ორგანოების, ოფისებისა და სააგენტოების მიერ ფიზიკურ პირთა პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი გადაადგილების შესახებ ევროკავშირის მონაცემთა დაცვის რეგულაციის (“EUDPR”) 42(1) მუხლის შესაბამისად. ინიცირებული წინადადება გულისხმობს ფინანსური დაზვერვის დანაყოფებისათვის და უფლებამოსილი ორგანოებისათვის იმ მეანაბრეების ან სხვა პირების პერსონალური მონაცემების გაზიარებას, რომლებიც დაკავშირებულია ფულის გათეთრებასთან ან ტერორიზმის დაფინანსების დანაშაულებთან. “EDPS”-მა განიხილა მონაცემთა გაცვლის შედეგად მონაცემთა სუბიექტების ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვასთან დაკავშირებული რისკები და წარმოადგინა შესაბამისი რეკომენდაციები მონაცემთა გაზიარების სხვადასხვა სცენარებთან დაკავშირებით. რეკომენდაციების თანახმად, მიზანშეწონილია დამუშავებას დაქვემდებარებული მონაცემების, მონაცემთა სუბიექტების კატეგორიების, აგრეთვე, მონაცემთა დამუშავების მიზნ(ებ)ის მკაფიოდ განსაზღვრა. „მონაცემთა დაცვის ევროპულმა ზედამხედველმა“ ხაზგასმით აღნიშნა ევროკომისიის მიერ იმგვარი დელეგირებული აქტის მიღებამდე, რომელიც განსაზღვრავს „ევროპის საბანკო ორგანოს“ (“EBA”) მიერ შემუშავებულ მარეგულირებელ ტექნიკურ სტანდარტებს და ამასთანავე, ითვალისწინებს პერსონალური მონაცემების დამუშავებას, “EDPS”-თან კონსულტაციების გავლის აუცილებლობა.

მონაცემთა დაცვის ოფიცრებისთვის ხელოვნური ინტელექტისა და პერსონალური მონაცემების შესახებ გზამკვლევი შემუშავდა

16.06.2023

ფოტო: cedpo.eu

„ევროპის მონაცემთა დაცვის ორგანიზაციის კონფედერაციის“ (“Confederation of European Data Protection Organization”) „ხელოვნური ინტელექტისა და მონაცემთა სამუშაო ჯგუფის“ მიერ სახელმძღვანელო დოკუმენტი მომზადდა. იგი, უმეტესწილად, განკუთვნილია მონაცემთა დაცვის ოფიცრებისთვის და არაერთ საკითხს ეხმიანება.

ხელოვნური ინტელექტი და მანქანური სწავლების ტექნოლოგიები სწრაფად ვითარდება. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი ტექნოლოგიებით არც თუ ისე ხშირად მუშავდება დიდი რაოდენობით პერსონალურ მონაცემები, ამგვარი დამუშავება მაინც აჩენს მონაცემთა სუბიექტებისთვის ახალ რისკებს. ამავდროულად, აღნიშნული მონაცემთა დაცვის ოფიცრებისთვის ერთგვარ გამოწვევასაც წარმოადგენს, ვინაიდან შესაძლოა, მათ სულაც არ ჰქონდეთ გამოცდილება და ცოდნა კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებით. თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, მაინც უნდა გააცნობიერონ და შეაფასონ ამგვარი ტექნოლოგიების თანმდევი სირთულეები და შედეგები. მონაცემთა დაცვის ოფიცრები ორმაგი გამოწვევის წინაშე დგანან: ისინი სწრაფად უნდა მოერგონ ტექნოლოგიის მუდმივად განვითარებად სფეროს და გააცნობიერონ მისი შინაგანი ფუნქციები, იმის მიუხედავად, აქვთ თუ არა წინასწარი ცოდნა აღნიშნულ სფეროში.

ევროკავშირის „ხელოვნური ინტელექტის აქტი“, სავარაუდოდ, 2024 წელს შევა ძალაში, რომელიც, გარკვეულწილად, მოიცავს „მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის“ (“GDPR”) მოქმედების სფეროს. მონაცემთა დაცვის ოფიცრებს კი მოუწევთ გაითვალისწინონ, როგორც „ხელოვნური ინტელექტის აქტი“, ისევე “GDPR”-ის კომბინირებული მოთხოვნები.

სახელმძღვანელო დოკუმენტი შეგიძლიათ, იხილოთ წინამდებარე ბმულზე.

(+ 995 32) 242 1000
office@pdps.ge
www.pdps.ge